

შპს „გრუნერი შტუკი კავკასია“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	5
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	9
2. მომზადების საფუძვლები	9
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	10
4. ძირითადი საშუალებები	11
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	11
6. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	12
7. სხვა რეზერვი	13
8. საგადასახადო ვალდებულებები.....	13
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13
10. ამონაგები.....	14
11. გაწეული მომსახურების თვითღირებულება.....	14
12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14
13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	15
14. პირობითი ვალდებულებები	16
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	16
16. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	17

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „გრუნერი შტუკი კავკასიის“ ხელმძღვანელობასა და მფლობელს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „გრუნერი შტუკი კავკასიის“ თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს მსს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში, „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს ამის გარდა სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი საადრიცხო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ მოსაზრებას რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში და არსებობს თუ არა მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობები, რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებს კომპანიის შესაძლებლობაზე, საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებდმა საწარმომ. თუ დავრწმუნდით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებული ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე და თუ ასეთი განმარტებითი შენიშვნა არის შეუსაბამო, გავცეთ მოდიფიცირებული დასკვნა. ჩვენი დასკვნები ემყარება აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორთა დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:



დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-735032**)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

10 თებერვალი 2023

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „გრუნერი შტუკი კავკასიის“ ხელმძღვანელობასა და მფლობელს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „გრუნერი შტუკი კავკასიის“ თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს მს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში, „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს ამის გარდა სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარიგებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ მოსაზრებას რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში და არსებობს თუ არა მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობები, რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებს კომპანიის შესაძლებლობაზე, საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავრწმუნდით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებული ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე და თუ ასეთი განმარტებითი შენიშვნა არის შეუსაბამო, გავცეთ მოდიფიცირებული დასკვნა. ჩვენი დასკვნები ემყარება აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორთა დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-735032**)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

10 თებერვალი 2023

შპს „გრუნერი შტუკი კავკასია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	73,861	28,083
არამატერიალური აქტივები		5,021	5,304
		78,882	33,387
მოკლევადიანი აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	349,715	372,493
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	609,509	292,491
		959,224	664,984
სულ აქტივები		1,038,106	698,371
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		100,000	100,000
სხვა რეზერვი	7	101,197	-
გაუნაწილებელი მოგება (დაგროვილი ზარალი)		597,689	(53,095)
სულ კაპიტალი		798,886	46,905
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულება	8	66,948	464,650
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	172,272	186,816
		239,220	651,466
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,038,106	698,371

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 10 თებერვალს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი





ბ. ქუიგლი

ადმინისტრაციული და
ფინანსური დირექტორი

თ. ანდლულაძე

9-20 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „გრუნერი შტუკი კავკასია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	73,861	28,083
არამატერიალური აქტივები		5,021	5,304
		78,882	33,387
მოკლევადიანი აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	349,715	372,493
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	609,509	292,491
		959,224	664,984
სულ აქტივები		1,038,106	698,371
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		100,000	100,000
სხვა რეზერვი	7	101,197	-
გაუნაწილებელი მოგება (დაგროვილი ზარალი)		597,689	(53,095)
სულ კაპიტალი		798,886	46,905
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულება	8	66,948	464,650
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	172,272	186,816
		239,220	651,466
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,038,106	698,371

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 10 თებერვალს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი	_____	ბ. ქუიგლი
ადმინისტრაციული და ფინანსური დირექტორი	_____	თ. ანდლულაძე

9-20 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „გრუნერი შტუკი კავკასია“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	10	1,863,575	1,808,224
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	11	(961,173)	(1,064,862)
საერთო მოგება		902,402	743,362
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(622,658)	(611,325)
საგადასახადო ჯარიმის ანარიცხის ცვლილება	8	423,545	(484,576)
ფინანსური აქტივების გაუფასურების ცვლილება		-	2,636
საოპერაციო მოგება(ზარალი)		703,289	(349,903)
ფინანსური შემოსავალი		10,559	8,078
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება(ზარალი), წმინდა		(63,064)	13,620
მოგება(ზარალი) დაბეგვრამდე		650,784	(328,205)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი(ზარალი)		650,784	(328,205)

9-20 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „გრუნერი შტუკი კავკასია“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	სხვა რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება (დაგროვილი ზარალი)	სულ
31 დეკემბერი 2020	100,000	-	275,110	375,110
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	-	(328,205)	(328,205)
31 დეკემბერი 2021	100,000	-	(53,095)	46,905
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	650,784	650,784
დამფუძნებლისგან მიღებული სარგებელი	-	101,197	-	101,197
31 დეკემბერი 2022	100,000	101,197	597,689	798,886

9-20 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „გრუნერი შტუკი კავკასია“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება(ზარალი) დაბეგვრამდე		650,784	(328,205)
კორექტირებები:			
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	12	27,974	18,225
ფინანსური აქტივების გაუფასურების ცვლილება	5	-	(2,636)
წმინდა (მოგება)ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან		63,064	(13,620)
საგადასახადო ჯარიმის ანარიცხის ცვლილება	8	(423,545)	484,576
დამფუძნებლისგან მიღებული სარგებელი	7	101,197	-
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე		419,474	158,340
ცვლილებები საოპერაციო კაპიტალში:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა) შემცირება		(31,570)	518,925
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა (შემცირება)		25,843	(11,497)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა (შემცირება)		16,455	(492,544)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები		430,202	173,224
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(61,374)	(7,109)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(12,061)	(2,117)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(73,435)	(9,226)
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა		356,767	163,998
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	6	292,491	146,342
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე		(39,749)	(17,849)
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	6	609,509	292,491

9-20 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „გრუნერი შტუკი კავკასია“ (წინათ - შპს „შტუკი კავკასია“, შემდგომში - „კომპანია“) დაარსდა 2008 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის მფლობელია შვეიცარული კომპანია შპს „გრუნერი შტუკი“ (წინათ - შპს „შტუკი“), რომელიც 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობს 100%-იან წილს კომპანიაში. შპს „გრუნერი შტუკს“ თავის მხრივ ფლობს ასევე შვეიცარული კომპანია „გრუნერი“, რომელიც წარმოადგენს საბოლოო მაკონტროლებელ მხარეს. კომპანიამ შეიცვალა ოფიციალური სახელი 2022 წლის იანვარში. კომპანიის მისამართია: აფაქიძის ქუჩა 11, თბილისი, საქართველო.

როგორც ეს წესდებითაა განსაზღვრული, კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის შემდეგი:

- ჰიდრო-ენერგეტიკული და ინფრასტრუქტურული საქმიანობა;
- სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა;
- პროექტირება და საინჟინრო სამუშაოები;
- ტოპოგრაფიული აგეგმვითი სამუშაოები.

კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენდა 15 და 10 ადამიანს, შესაბამისად.

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის, ასევე, მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის შესაბამისადაც არის მომზადებული აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება, მოცემულია მე-16 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე არის კომპანიის სამუშაო ვალუტაც. რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ განავითარონ კომპანია საქართველოში, ამავდროულად, კომპანიის დამფუძნებელი მზადაა საჭიროების შემთხვევაში გაუწიოს კომპანიას ფინანსური მხარდაჭერა.

ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე ისეთი არსებითი გაურკვევლობა, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს კომპანიის უნარზე გააგრძელოს საქმიანობა. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია. კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს უწყვეტობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ფინანსური აქტივიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

დაბეგვრა - ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია ახორციელებს ბევრ ოპერაციასა და გაანგარიშებას დაკავშირებულ მხარეებთან. გაწეული სერვისები დაკავშირებულ მხარეებთან შემოსავლად აღიარდება თვითღირებულებას დამატებული გარკვეული მარჟის მეთოდით. კომპანიის შეფასებით სატრანსფერო ფასწარმოქმნის მის მიერ შემუშავებული მეთოდი ადეკვატურია, თუმცა იმის გამო, რომ საგადასახადო ორგანოებს შესაძლოა განსხვავებული მიდგომა ჰქონდეს, კომპანია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე, იმის შესახებ, ექნება თუ არა ადგილი დამატებით გადასახადების და პროცენტის დარიცხვას. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით. კომპანია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები და სატრანსფერო ფასწარმოქმნის კვლევის შედეგად გამოთვლილი ანარიცხი ადეკვატურია ყველა წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებსა და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს ფუნქციონირებადობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

შპს „გრუნერი შტუკი კავკასია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარში)

4. ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა	ტექნიკური და კომპიუტერული მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
ისტორიული ღირებულება					
2020 წლის 31 დეკემბერი	101,372	227,067	38,821	15,841	383,101
შემოსვლა	1,836	4,188	-	1,108	7,132
გასვლა	-	(6,988)	-	(424)	(7,412)
2021 წლის 31 დეკემბერი	103,208	224,267	38,821	16,525	382,821
შემოსვლა	3,136	58,238	-	-	61,374
2022 წლის 31 დეკემბერი	106,344	282,505	38,821	16,525	444,195
დაგროვილი ცვეთა					
2020 წლის 31 დეკემბერი	(86,660)	(208,704)	(36,663)	(14,224)	(346,251)
ცვეთა	(7,046)	(7,365)	(719)	(769)	(15,899)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	6,988	-	424	7,412
2021 წლის 31 დეკემბერი	(93,706)	(209,081)	(37,382)	(14,569)	(354,738)
ცვეთა	(2,271)	(11,843)	(719)	(763)	(15,596)
2022 წლის 31 დეკემბერი	(95,977)	(220,924)	(38,101)	(15,332)	(370,334)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2021 წლის 31 დეკემბერი	9,502	15,186	1,439	1,956	28,083
2022 წლის 31 დეკემბერი	10,367	61,581	720	1,193	73,861

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფინანსური აქტივები:		
სავაჭრო მოთხოვნები	399,406	322,511
მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	107,160	172,987
საკონტრაქტო აქტივები	40,248	65,308
გამოკლებული: სავაჭრო მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივების გაუფასურების რეზერვი	(218,291)	(218,291)
ფინანსური აქტივები - წმინდა	328,523	342,515
არაფინანსური აქტივები:		
გადახდილი ავანსები	20,578	28,933
სხვა მოთხოვნები	614	1,045
	349,715	372,493

ფინანსური მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი უკავშირდება შპს „ჯორჯიან გრინ ფაუნდის“ მიმართ არსებულ სავაჭრო მოთხოვნას წაბლარი 2 ჰესის პროექტის ფარგლებში შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. აღნიშნულ მოთხოვნაზე, ღირებულებით 218,291 ლარი, სასამართლო დავა მიმდინარეობს 2019 წლიდან. კომპანიას მოპოვებული აქვს აღსრულების ფურცელი, თუმცა, კონტრაგენტს არ გააჩნია უძრავი და მოძრავი ქონება. აქედან გამომდინარე, მოთხოვნა 100%-ით გააუფასურა ხელმძღვანელობამ. 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არცერთი სხვა სავაჭრო მოთხოვნა და სახელმძღვანელო აქტივი არ არის გაუფასურებული.

შპს „გრუნერი შტუკი კავკასია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარში)

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება 2022 და 2021 წლისთვის შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	2022 სავაჭრო მოთხოვნები	2021 სავაჭრო მოთხოვნები
1 იანვარი	218,291	220,927
წინა პერიოდში ჩამოწერილი მოთხოვნების აღდგენა	-	(2,636)
გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	-	(2,636)
31 დეკემბერი	218,291	218,291

წლის განმავლობაში მომხდარი ცვლილებები სახელშეკრულებო აქტივებსა და სახელშეკრულებო ვალდებულებებში შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	საკონტრაქტო აქტივები	საკონტრაქტო აქტივები	საკონტრაქტო ვალდებულებები	საკონტრაქტო ვალდებულებები
	2022	2021	2022	2021
1 იანვარი	65,308	22,944	-	(3,621)
გადასვლა საკონტრაქტო აქტივიდან სავაჭრო მოთხოვნებში	(65,308)	(22,944)	-	-
საკონტრაქტო ვალდებულებები, რომლებიც აღიარდა ამონაგებად მიმდინარე პერიოდში	-	-	-	3,621
მიმდინარე პერიოდში აღიარებული ამონაგები, რომლისთვისაც კომპანიას არ მიუღია ფულადი სახსრები(ან უფლება მათზე)	40,248	159,983	-	-
გადახურვა	-	(94,675)	-	94,675
შეუსრულებელი ვალდებულებისთვის მიღებული ფულადი სახსრები, რომლებიც არ აღიარდა შემოსავლად პერიოდში	-	-	-	(94,675)
31 დეკემბერი	40,248	65,308	-	-

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	497,262	192,594
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	112,247	99,897
	609,509	292,491

კომპანიას ერიცხება საპროცენტო სარგებელი მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე, რომელმაც 2022 წელს შეადგინა 10,559 ლარი (2021: 8,078 ლარი).

7. სხვა რეზერვები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შპს "გრუნერი შტუკი კავკასიის" ადმინისტრაციული და ფინანსური დირექტორის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება აანაზღაურა შპს "გრუნერი შტუკმა" (დამფუძნებელი კომპანია). აღნიშნული ოპერაცია კომპანიამ დააკლასიფიცირა, როგორც დამფუძნებლისგან მიღებული სარგებელი და აღრიცხა როგორც მომსახურების ხარჯი და კაპიტალის ოპერაცია.

დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სარგებელი აღიარდა კაპიტალში, სხვა რეზერვის მუხლში 101,197 ლარის ოდენობით.

8. საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს გაერთიანებულ ანგარიშზე. შედეგად, 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო ღირებულებით, თანხით 66,948 ლარი (ვალდებულება) და 464,650 ლარი (ვალდებულება), შესაბამისად.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო ვალდებულება მოიცავდა მოგების გადასახადის, ჯარიმის და საურავის ანარიცხს, რომელიც კომპანიას დაეკისრა შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2021 წლის 30 დეკემბრის ბრძანების საფუძველზე, საგადასახადო ორგანოს მიერ სამი წლის (2018 წლის პირველი იანვრიდან 2021 წლის პირველ იანვრამდე პერიოდის) კონტროლირებული ოპერაციების შესწავლის შედეგად. ანარიცხის ჯამური ღირებულება შეადგენდა 484,576 ლარს. 2022 წლის განმავლობაში კომპანიამ გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილება. დავების განხილვის საბჭომ განიხილა საჩივარი და კომპანიას მიეცა წინადადება აუდიტის დეპარტამენტისთვის წარედგინა საჩივარში მოყვანილი არგუმენტაციის დოკუმენტურად დადასტურებული მტკიცებულებები. კომპანიამ წარადგინა აღნიშნული დოკუმენტაცია, რომელშიც ჩანს, რომ საგადასახადო აუდიტის დეპარტამენტის მიერ გამოყენებული გაანგარიშების მექანიზმები არ შეესაბამება არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს. ასევე, მესამე მხარის მიერ მომზადებული სატრანსფერო ფასწარმოქმნის დასკვნის მიხედვით, რომელიც მომზადებულია კანონმდებლობის საფუძველზე, შპს "გრუნერი შტუკი კავკასიისთვის" დასარიცხი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მცირდება (შეადგენს 61,031 ლარს). ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის აუდიტის დეპარტამენტს წარდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა ჯერ არ დაუსრულებია, თუმცა, წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ხელმძღვანელობას მოლოდინი აქვს, რომ აუდიტის დეპარტამენტის მხრიდან მოხდება არგუმენტების გაზიარება და კომპანიას მნიშვნელოვნად შეუმცირდება მოსალოდნელი გადასახადი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოხდა შეფასების ცვლილება და საგადასახადო ანარიცხის შემცირება.

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფინანსური ვალდებულებები:		
სავაჭრო ვალდებულებები	134,357	148,881
	134,357	148,881
არაფინანსური ვალდებულებები:		
მიღებული ავანსები	37,708	37,708
სხვა ვალდებულებები	207	227
	172,272	186,816

მიღებული ავანსები მოიცავს ერთ-ერთი პროექტის მეორე ფაზის შესრულებისთვის კლიენტისგან ჩამორიცხულ ავანსს. ამ ეტაპზე პროექტი შეჩერებულია კლიენტის მხრიდან გაურკვეველი ვადით, თუმცა მოსალოდნელია მისი გაგრძელება.

შპს „გრუნერი შტუკი კავკასია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

10. ამონაგები

	2022	2021
პროექტის ზედამხედველობა	1,483,605	1,065,946
ტოპოგრაფიული-აგეგმვითი სამუშაოები	190,196	217,560
პროექტის ტექნიკური შემოწმება	66,199	246,467
სპეციალიზირებული კვლევა	58,272	-
კონსულტაცია	30,707	84,839
მშენებლობის პროგრესის შეფასება	25,740	143,205
პროექტირება	8,856	-
ინსპექტირება	-	46,787
წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება	-	3,420
	1,863,575	1,808,224

11. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

	2022	2021
შრომის ანაზღაურება	(700,163)	(636,779)
შესყიდული მომსახურება - ქვეკონტრაქტორების ხარჯი	(209,007)	(376,005)
მივლინების ხარჯი	(42,022)	(23,435)
სხვა	(9,981)	(28,643)
	(961,173)	(1,064,862)

12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
შრომის ანაზღაურება	(267,940)	(280,353)
იჯარის ხარჯი	(186,514)	(204,381)
საკონსულტაციო ხარჯი	(48,029)	(21,224)
ცვეთა და ამორტიზაცია	(27,974)	(18,225)
დაზღვევის ხარჯი	(23,474)	(19,846)
კომპიუტერული მომსახურება	(15,658)	(8,866)
ბიზნესის განვითარების ხარჯი	(12,112)	(8,458)
საოფისე ხარჯები	(11,014)	(10,677)
კომუნალური ხარჯი	(10,358)	(9,470)
კომუნიკაციის ხარჯი	(9,399)	(8,024)
საგადასახადო ხარჯი, მოგების გადასახადის გარდა	(661)	(1,382)
სხვა ხარჯები	(9,525)	(20,419)
	(622,658)	(611,325)

შპს „გრუნერი შტუკი კავკასია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარში)

13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებს და უმაღლეს ხელმძღვანელობაში შემავალ პირებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

		31 დეკემბერი 2022		31 დეკემბერი 2021	
	კავშირის ფორმა	დაკავშირებული მხარის ბალანსი	ფინანსური ანგარიშგების არე	დაკავშირებული მხარის ბალანსი	ფინანსური ანგარიშგების არე
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		107,160	349,715	172,987	372,493
- შპს „გრუნერი შტუკი“	დამფუძნებელი	107,160		172,987	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		131,251	172,272	146,627	186,816
- შპს „გრუნერი შტუკი“	დამფუძნებელი	131,251		133,595	
- შპს „შტუკი ბალკანეთი“	სხვა დაკავშირებული მხარე	-		13,032	

ხელმძღვანელობის ანაზღაურება მოიცავს სახელშეკრულებო ხელფასსა და სხვა ანაზღაურებას და შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

უმაღლესი ხელმძღვანელობის გასამრჯელო	2022	2021
- მოკლევადიანი სარგებელი	(261,961)	(257,302)

კომპანიის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლებისთვის აღიარდა დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული შემდეგი ოპერაციები:

		2022		2021	
	კავშირის ფორმა	ოპერაციები დაკავშირებულ მხარესთან	ფინანსური ანგარიშგების არე	ოპერაციები დაკავშირებულ მხარესთან	ფინანსური ანგარიშგების არე
ამონაგები		112,003	1,863,575	173,281	1,808,224
- შპს „გრუნერი შტუკი“	დამფუძნებელი	112,003		173,281	
გაწეული მომსახურების თვითღირებულება		(17,437)	(961,173)	(296,152)	(1,064,862)
- შპს „გრუნერი შტუკი“	დამფუძნებელი	(17,437)		(283,120)	
- შპს „შტუკი ბალკანეთი“	სხვა დაკავშირებული მხარე	-		(13,032)	

14. პირობითი ვალდებულებები

ბონუსი - კომპანიის სახელფასო პოლიტიკის შესაბამისად, ერთ-ერთი ბონუსი დამოკიდებულია გრუნერ ჯგუფის საერთო შედეგებზე. აღნიშნული შესაძლოა განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან. იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიას არ აქვს არანაირი მოლოდინი ჯგუფის საბოლოო შედეგებზე და რადგან წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობა არ არის მიზანშეწონილი, ამიტომ აღნიშნული ბონუსები კლასიფიცირდება, როგორც პირობითი ვალდებულება. გარდა ამისა, ჯგუფის შედეგების საფუძველზე ბონუსის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გრუნერი, ამიტომ აღნიშნულ ბონუსებზე ანარიცხი არ აღიარდება.

გადასახადები და დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. მომავალში, დივიდენდების გაცემის შემთხვევაში გადასახდელი მოგების გადასახადის მაქსიმალურმა ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 89,653 ლარი.

სასამართლო დავა - კომპანიის ჩვეული საქმიანობის პროცესში დროდადრო მის მიმართ შესაძლოა წარმოიშვას გარკვეული საჩივარი ან სასამართლო დავა. თუმცა, 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის მიმართ არ ყოფილა არანაირი მატერიალური სასამართლო დავა.

საოპერაციო გარემო - განვითარებადი ბაზრები, როგორიცაა საქართველო, ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს, სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, როგორიცაა ეკონომიკური, პოლიტიკური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკები. კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენს საქართველოში ბიზნესზე, სწრაფად იცვლება, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები კი სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ მიმართულებაზე დიდ გავლენას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოში განვითარებულ მოვლენებთან ერთად.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ ყოფილა ისეთი მოვლენა, რომელიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში გაშიფვრას.

16. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით, ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი) იყო შემდეგი:

	<i>საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლითი კურსი</i>		
	<i>აშშ დოლარი</i>	<i>ევრო</i>	<i>შვეიცარიული ფრანკი</i>
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844	2.9322
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040	3.3772

ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. კომპანია მომსახურებას გასწევს ნაწილობრივ ავანსის გადახდის და დარჩენილი ნაწილის მომსახურების დასრულების შემდგომ გადახდის პირობით. სახელშეკრულებო აქტივი აღიარდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ, გარკვეულ თარიღამდე შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით დამკვეთებისგან მისაღები ჯამური თანხის ღირებულებით. მოთხოვნებსა და სახელშეკრულებო აქტივებს არ ერიცხებათ სარგებელი. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებებს, რათა განსაზღვროს, ხომ არ არსებობს აქტივის გაუფასურების რაიმე ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურების შემთხვევაში გაუფასურების ზარალი აღიარდება ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. სახელშეკრულებო აქტივებს აქვთ სავაჭრო მოთხოვნების მსგავსი მსგავსი რისკის მახასიათებლები მსგავსი ტიპის კონტრაქტებისთვის.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (მოიცავს გარიგების ხარჯებს). კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. სავაჭრო ვალდებულებები წარმოქმნილია ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და არ ერიცხება პროცენტი.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალება ფასდება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურების ზარალის თანხით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები წრფივი მეთოდით კატეგორიების მიხედვით:

16. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ძირითადი საშუალებები	
საოფისე ტექნიკა	5
ტექნიკური და კომპიუტერული მოწყობილობები	5
სატრანსპორტო საშუალება	5
სხვა	5

მიმდინარე ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ ისინი არ აკმაყოფილებს კაპიტალიზაციის მოთხოვნებს.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განიხილავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს. საჭიროების შემთხვევაში ხდება მათი ცვლილება. იმ შემთხვევაში, თუ აქტივის ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს, რომლებიც წარმოადგენს მოკლევადიან, მაღალ-ლიკვიდურ აქტივებს. მიმდინარე ანგარიშებზე კომპანია იღებს სარგებელს. დარიცხული სარგებელი წარდგენილია ფინანსურ შემოსავალში სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. აღიარება შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

დაბეგრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15 %, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არა-რეზიდენტ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა
- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საქონლის უსასყიდლო მიწოდება
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

16. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანია აღიარებს მოგების გადასახადს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის გაიცემა.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, აღიარდება მავალდებულებელი მოვლენის წარმოქმნის დროს. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც ავალდებულებს კომპანიას გადაიხადოს გადასახადი. გადასახადები დაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარდება აქტივად.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება მფლობელების მიერ. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება საწესდებო კაპიტალად კომპანიის მთლიან კაპიტალში, იმდენად, რამდენადაც იგი შევსებულია კომპანიის მფლობელების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის მიერ მიღებული შემონატანების რეალური ღირებულებით.

სხვა რეზერვი

სხვა რეზერვი შედგება სარგებლისგან, რომელიც კომპანიამ მიიღო დაკავშირებული მხარისგან (დამფუძნებლისგან) კომპანიის ადმინისტრაციული და ფინანსური დირექტორის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურების გზით.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. შუალედური და საბოლოო დივიდენდების დამტკიცება ხდება, პარტნიორთა საერთო კრებაზე.

ამონაგები

კომპანია ამონაგებს აღიარებს, როცა შემდეგი პირობებია შესრულებული:

- ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

მომხმარებლებისთვის გარკვეული მომსახურებების გაწევა ხდება დროთა განმავლობაში. კომპანია ასეთ ამონაგებს აღიარებს პროცენტული შესრულების მეთოდის გამოყენებით. ნაწილობრივ შესრულებულ საკონსულტაციო/ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კონტრაქტებზე კომპანია ამონაგებს აღიარებს პროექტის დასრულების ეტაპის ან გაწეული დანახარჯების პროპორციულობის მიხედვით, რომელიც განისაზღვრება ფაქტობრივი ხარჯებისა და პროექტებზე რეალურად დახარჯული დროის შედარებით ხარჯებისა და საათების დაგეგმილ ჯამურ რაოდენობასთან, რომლითაც მოსალოდნელი იყო პროექტის დასრულება (დანახარჯების მეთოდი).

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

მომსახურების გაწევისას წარმოქმნილი ხარჯები აღიარდება მიღებული შემოსავლის პროპორციულად. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

16. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.